



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

უწყებათაშორისი ფორუმი – კოოპერატივების ხელმისაწვდომობა ფინანსებზე კომუნიკე

2016 წლის 29 ნოემბერს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ენპარდის (ENPARD) პროგრამის ფარგლებში, „ჰოტელს ენდ პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ გაიმართა *უწყებათაშორისი ფორუმი – კოოპერატივების ხელმისაწვდომობა ფინანსებზე*. ფორუმი მიზნად ისახავდა კოოპერატივებისათვის ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვას. ფორუმის დღის წესრიგი შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

ეს იყო *CARE საერთაშორისო კავკასიის* მიერ ISET-ის კვლევით ინსტიტუტთან, რეგიონული განვითარების ასოციაციასა (RDA) და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) ერთობლივი თანამშრომლობით სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების სერიის რიგით მეოთხე ღონისძიება, რომელსაც პარტნიორობას უწევდნენ კონსორციუმის დანარჩენი წევრები – მერსი ქორი (Mercy Corps), ოქსფამი (Oxfam) და ადამიანი გაჭირვებაში (PIN).

ფორუმის მიმდინარეობისას, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს და გამოცდილებები გააზიარეს ისეთმა მნიშვნელოვანმა დაინტერესებულმა მხარეებმა, როგორებიცაა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (French Development Agency (AFD)), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფინანსური ინსტიტუტების, სალიზინგო, ბიზნეს- და საფინანსო-საკონსულტაციო ჯგუფების წარმომადგენლებმა, ENPARD-ის განმახორციელებელმა კონსორციუმებმა, კვლევითმა ცენტრებმა და სხვებმა.

ფორუმი გახსნა *ნინო ზამბახიძემ* (GFA), რომელმაც მადლობა გადაუხადა ევროკავშირს, სხვა დონორებსა და დაინტერესებულ მხარეებს საქართველოში კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერისთვის და ხაზი გაუსვა ქვეყანაში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის კოოპერაციის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კოოპერატივებისათვის ფინანსებზე წვდომის პრობლემის მოგვარება.

კრისტინა კასელამ (ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში) განაცხადა, რომ კოოპერატივებისათვის ბანკიდან კრედიტის მიღების პროცესში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გირაოს არარსებობა ან სიმცირეა. შესაბამისად, ფერმერებს უწევთ მიკრო-საფინანსო

ორგანიზაციებიდან მოკლე-ვადიანი და მაღალ-პროცენტული სესხების აღება. ქალბატონმა კრისტიანამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად და ყურადღება გაამახვილა იმ დახმარებაზე, რომელსაც ევროკავშირი უწევს საქართველოს კოოპერაციის განვითარების კუთხით.

სილვია სანხუან მუნოსი (ქვა საერთაშორისო კავკასიაში) მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას და ხაზი გაუსვა ყველა დაინტერესებული მხარის ერთად შეკრების აუცილებლობას კოოპერატივებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვის პროცესში. ქალბატონმა სილვიამ ყურადღება გაამახვილა კოოპერატივებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ეს ფორუმი და საკითხი არის ENPARD-ის კონსორციუმის მიერ განხორციელებული ადვოკატირების მიმართულებით განხორციელებული ქმედებების შემადგენელი ნაწილი.

დავით გალეგაშვილმა (საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე) გასულ სამ წელს ქვეყანაში კოოპერაციის განვითარებისათვის წარმატებული პერიოდი უწოდა, მაგრამ დაამატა, რომ კოოპერატივები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად ძლიერი ბიზნესები მდგრადობის შესანარჩუნებლად. ბატონმა დავითმა მიმოიხილა სამინისტროს მიერ განხორციელებული წარმატებული პროგრამები და ისეთი ახალი ინიციატივები, როგორებიცაა, მაგალითად, სასაწყობე ჩეკის პრაქტიკის შემოღება – სასაწყობე ჩეკი „დარჩელის თხილის“ წევრებისათვის ფულადი აქტივების ერთ-ერთი შემცვლელის ფუნქციას შეასრულებს.

ბერნარ ფუკემ (კრედი აგრიკოლ საფრანგეთი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო) წარადგინა პრეზენტაცია საფრანგეთის ერთ-ერთი პირველი აგრარული ბანკის შესახებ: კრედი აგრიკოლი დაფუძნდა XIX საუკუნეში, რათა მხარი დაეჭირა ქვეყანაში იმ დროისთვის მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფის, ფერმერებისათვის. კრედი აგრიკოლ საფრანგეთამდე, ქვეყანაში არსებობდა მსგავსი ბანკის შექმნის მცდელობა, მაგრამ ფერმერთა საკუთრებაში არსებული საგირავნო აქტივების სიმცირის, ფერმერებსა და ბანკს შორის არსებული უნდობლობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა მხოლოდ 1884 წლის შემდეგ, როცა იურას მთებში, რაიფაიზენის მოდელზე დაყრდნობით, შეიქმნა ფერმერთა გაერთიანება. გაერთიანების მიზანი იყო ცოდნის გაზიარება, შრომის გადანაწილება და ფერმერთა რესურსების გაერთიანება. დამატებითი წამახალისებელი ფაქტორი აღმოჩნდა სახელმწიფოც, რომელმაც იტვირთა გარანტორის როლი ფერმერების მიერ ბანკებიდან აღებულ სესხებზე. აგრეთვე, დაარსდა მარცვლეულის სააგენტო, რომელიც შეგროვებული მოსავლის სანაცვლოდ გასცემდა ფასის გარანტიებს და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა შემნახველი ანგარიშები და კრედიტით შექმნის შესაძლებლობები.

ბატონი ბერნარის განცხადებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა სტაგნაციაში იყო და ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამამ (ე.წ. „მარშალის გეგმა“) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები მიაწოდა სექტორს. შედეგად, დაახლოებით 6000-მა ფერმერმა შექმნა ჯგუფები, გააერთიანა საკუთარი

მიწები და გაააქტიურა მექანიზაციის პროცესი. ფერმერებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი ფინანსური ანგარიშგების ხარისხი და დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო კვლევები. თუ ერთი სიტყვით შევაჯამებთ, კრედი აგრიკოლი დაეხმარა საფრანგეთს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის საქმეში.

ბატონმა ბერნარმა ისაუბრა წარმატებულ ნიდერლანდულ, გერმანულ და კვებეკურ აგრარულ ბანკებზე და, აგრეთვე, განიხილა სომხური აკბა-კრედი აგრიკოლ ბანკის წარმატებული მაგალითი. აღნიშნული ბანკი დაარსდა 1996 წელს კრედი აგრიკოლ საფრანგეთის რეგიონული ბანკის სტატუსით. თავიდან, აკბა-კრედი აგრიკოლ ბანკი მომხმარებელს სთავაზობდა მოკლე-ვადიან მიკროსესხებს, მაგრამ დღესდღეობით მას ჰყავს 1257 თანამშრომელი, 318000 კლიენტი, 57 ფილიალი და ფლობს სომხეთში სასოფლო-სამეურნეო სესხების ბაზრის 50%-იან წილს.

ბატონმა ბერნარმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმატებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: გეოგრაფია, ფერმერებთან პროფესიული და ფსიქოლოგიური სიახლოვე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში განსწავლულობა, ადეკვატური საკანონმდებლო-სარეგულაციო გარემო, სახელმწიფოს მხარდაჭერა (მაგალითად, სესხების სუბსიდირება) და ადეკვატური აგრარული პოლიტიკა. ბერნარ ფუკეს განცხადებით, ბანკები კოოპერატივებს ისევე უდგებიან, როგორც სხვა საწარმოებს და ანალიზებენ ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა შემოსავლებისა და საკუთრების გენერაცია-მართვის უნარი და სხვ. მეორეს მხრივ, კოოპერატივები საკმაოდ სპეციფიკური გაერთიანებებია, რომლებშიც მენეჯერებს ირჩევენ ფერმერები, რომლებიც, ამავდროულად, არიან კოოპერატივის მფლობელები და მიმწოდებლები. ფერმერების მიზანია საკუთარი პროდუქციის ყველაზე მომგებიანი პირობებით რეალიზაცია, მაგრამ შესაძლებელია, კოოპერატივს არ ჰქონდეს ამისთვის საჭირო ფინანსები. ბატონი ბერნარის განცხადებით, ფერმერების მიერ კოოპერატივის მფლობელობა გარკვეულწილად უზრუნველყოფს კოოპერატივის სტაბილურობას, მაგრამ გადასაწყვეტია ფასების ოპტიმიზაციისა და წევრებს შორის ნდობის საკითხები. რაც შეეხება კოოპერატივების წარმატებლობის მიზეზებს, უმეტეს შემთხვევაში, კოოპერატივის მმართველები ვერ ინარჩუნებდნენ კოოპერატივისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან კარგ მენეჯერულ პრაქტიკებს ან ვერ ახერხებდნენ კოოპერატივების მართვისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას. ბერნარ ფუკემ მოგვიანებით ჩამოთვალა კოოპერატივებისათვის ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად აუცილებელი რამდენიმე ფაქტორი: ტექნიკური დახმარების გაწევა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დაფინანსების ალტერნატიული სქემების გამოყენება პროდუქციის გასაყიდი ფასის გაზრდა-შენარჩუნებისთვის კულტურულ-ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინება.

ერიკ ლივინი (ISET) ჰკითხა ბერნარ ფუკეს, განაპირობა თუ არა ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკის (CAP) შემოღებამ კრედი აგრიკოლ საფრანგეთის წარმატებულ, თვით-დაფინანსებად ბანკად ჩამოყალიბება. საპასუხოდ ბატონმა ბერნარმა განაცხადა, რომ გადაწყვეტი როლი ითამაშა საბანკო დანაზოგების ზრდამ, საკრედიტო გაერთიანებების შექმნამ და CAP-ის ფარგლებში ინიცირებული ფასის საგარანტიო სქემების შემოღებამ.

ლევან დადიანი (Oxfam) დაინტერესდა, თუ რისი წყალობით მიაღწია სომხურმა აკბა-კრედი აგრიკოლ ბანკმა გერმანული და ჰოლანდიური ანალოგების მსგავს წარმატებას – საერთაშორისო გამოცდილების თუ ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინების ხარჯზე. საპასუხოდ ბატონმა ბერნარმა განაცხადა, რომ სომხეთში წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი იყო აკბა-კრედი აგრიკოლ ბანკის ძლიერი ადგილობრივი ლიდერობა და ფერმერების ძლიერი ასოციაციის საკუთრებაში არსებული ბანკის შექმნა.

ხუან ეჩანოვემ (Care USA) წარადგინა პრეზენტაცია კოოპერატივების სხვადასხვაგვარი ფინანსური საჭიროებების შესახებ და ხაზი გაუსვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებულ შეუთავსებლობას – მისო-ები ბაზარს აწვდიან მოკლევადიან კრედიტებს, მაშინ, როცა კოოპერატივებს ესაჭიროებათ გრძელვადიანი სესხები. ბატონმა ხუანმა განიხილა ევროპული ქვეყნების გამოცდილება სახალხო და კოოპერატივის საკუთრებაში არსებულ ბანკებსა თუ საკრედიტო გაერთიანებებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კომერციული ბანკები, მისო-ების მსგავსად, წარმოადგენენ საოპერაციო ხარჯების დაფარვის კარგ საშუალებას, მაშინ, როცა ბანკები არის კაპიტალური ინვესტიციების საუკეთესო წყარო. გარდა ამისა, საინვესტიციო მიზნებისთვის შეიძლება სესხის საგარანტიო სქემების, დაბრუნებადი გრანტების, აგრო-ლიზინგის, საკონტრაქტო სოფლის მეურნეობის, დაზღვევისა და სხვა ალტერნატიული წყაროების გამოყენებაც, მაგრამ თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები და არ არსებობს კოოპერატივებისთვის ფინანსებზე წდომის გასაუმჯობესებელი უნივერსალური მიდგომა.

ხუან ეჩანოვეს პრეზენტაციას მოჰყვა დისკუსია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ბანკის არსებობის მართებულობის შესახებ, რომლის მიმდინარეობისას დავით გალეგაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნიდან უცხოური ბანკების გასვლისა (მაგალითად, HSBC და Societe Generale) და, შესაბამისად, იაფი ფინანსური რესურსის შეზღუდულობის პირობებში, მსგავსი აგრარული ბანკის არსებობა მნიშვნელოვანია. ლევან დადიანის თქმით, უკვე არსებული კოოპერატივების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა რამდენიმე პოლიტიკის განხორციელება, მაგალითად: სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების გაფართოება და ACDA-ს საგრანტო პროგრამების შენარჩუნება, ENPARD-ის დანერგილი სქემების გავრცელება ქვეყნის მასშტაბით, ქალთა, იძულებით გადაადგილებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ეთნიკურ უმცირესობათა და [სხვა] მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის გაზრდა სექტორში.

გიორგი ღლონტმა (ქეა საერთაშორისო კავკასიაში) განაცხადა, რომ საჭიროა ყველა საჭირო ფინანსური მექანიზმის გამოყენება კოოპერატივებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. თითოეულ ამ მექანიზმს გააჩნია საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ხასიათდება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ქვესექტორისთვის სპეციფიკური რისკებით.

კონსტანტინე კობახიძემ (ევოლუქსერი) ხაზი გაუსვა კოოპერატივების მხრიდან საკუთარი შესაძლებლობებისა და საჭიროებების საღად შეფასების საჭიროებას და აღნიშნა, რომ აუცილებელია კოოპერატივების ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესება.

ბატონი კონსტანტინეს მოსაზრებას დაეთანხმა ბუბა ჯაფარლი (PIN) და დაამატა, რომ ფინანსური დოკუმენტაციის მოწესრიგება ჯერ კიდევ პრობლემატურია. კონსტანტინე კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა ნინო ზამბახიძეც, რომლის განცხადებითაც, ხშირად, ფინანსებზე წვდომის თვალსაზრისით, სწორედ გირაოსთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს პრობლემას და ამ მიმართულებით, ბანკების სუვერენულ ინტერესებში ჩაურევლად, საჭიროა გარკვეული ადვოკატირება.

კონსტანტინე ქლენტმა (ABCO) დაამატა, რომ ბანკებს კარგად არ აქვთ შეფასებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და [აქედან გამომდინარე] არც შესაბამისი საბანკო პროდუქტები არაა ხელმისაწვდომი. ამასთან დაკავშირებით, ბატონმა ეჩანოვემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ფერმერებში ბიზნესის ცნობიერების განვითარება, ხოლო ბატონმა ბუბამ თქვა, რომ ფერმერებს ესაჭიროებათ ტრენინგები, განსაკუთრებით კი ფინანსურ აღრიცხვაში. ბუბა ჯაფარლის მოსაზრებას გამოეხმაურა კრისტინა კასელა და განაცხადა, რომ ევროკავშირი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ერთად ახორციელებს შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებს. გარდა ამისა, ფორუმის წევრები შეეხნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ფინანსური ინსტიტუტების მიერ გირაოში ბიოლოგიური აქტივის გაუთვალისწინებლობა და სხვ.

ერიკ ლივნიმ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ყველა კოოპერატივი არის სტარტაპი და, შესაბამისად, არ შეუძლია მაღალი საპროცენტო განაკვეთების გადახდა. გარდა ამისა, კოოპერატივებს ყველა შესაძლო დახმარების აღმოჩენა ესაჭიროებათ, თუმცა ამა თუ იმ მხარდაჭერის პროგრამაზე ან სესხზე მიმართვისას დიდი მოცულობით დოკუმენტაციის მოთხოვნით ამ პროცესების დაჩქარება შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს საქართველოში კოოპერაციულ მოძრაობისათვის. ხუან ეჩანოვე დაეთანხმა ბატონ ერიკს და დაამატა, რომ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ისეთი კოოპერატივების მხარდასაჭერად, რომელთაც გრძელვადიან პერიოდში შეუძლიათ წარმატებული საქმიანობა.

ირაკლი კოკლამაზაშვილმა (ISET) წარადგინა პრეზენტაცია, რომლის საწყისი ნაწილი შეეხებოდა საქართველოში კოოპერატივებისათვის ხელმისაწვდომი დაფინანსების სხვადასხვა წყაროებს. ენპარდმა განახორციელა 11.3 მლნ. ლარის პირდაპირი ინვესტიცია აქამდე დაფინანსებულ 247 კოოპერატივში, ამას გარდა ამ კოოპერატივებში 3.7 მლნ ლარი ინვესტირებულ იქნა კოოპერატივის წევრების მიერ. გარდა ამისა, კოოპერატივებს ხელი მიუწვდებათ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ ე.წ. „იაფ სესხებზე“ (ჯამური ბიუჯეტი 4 მლნ. ლარი, დაფინანსებულია 39 კოოპერატივი), ACDA-ს მხარდაჭერის პროგრამებზე, რომლის ბიუჯეტი 6 მლნ. ლარს შეადგენს და ა.შ. ამის მიუხედავად, ენპარდის მხარდაჭერილი კოოპერატივების ყოველწლიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კოოპერატივების საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა უმთავრეს ბარიერს წარმოადგენს (თვით ამ კოოპერატივების შეფასებით). ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახლადშექმნილი კოოპერატივების საქმიანობის გასაიოლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში შეიძლება მნიშვნელოვან პრობლემებს წააწყდეს.

გიორგი მიშელაძემ (ACDA) აღნიშნა, რომ კოოპერატივების მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. კოოპერატივებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში, მაგრამ, თუ ისინი დაკარგავენ [კოოპერატივის] სტატუსს, ვალდებულნი არიან, სახელმწიფოს დაუბრუნონ მისგან მიღებული ყველანაირი ტიპის სარგებელი. ბატონი გიორგის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზე არიან (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის პირველი სტატუსი გაიცა 2014 წელს) და მათი მცირე მასშტაბები, არადამაკმაყოფილებელი მენეჯმენტი და ფერმერების დაბალი კვალიფიკაცია მთავარ პრობლემებს წარმოადგენს. გიორგი მიშელაძე მიიჩნევს, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ ტრენინგები საკმარისი არაა და მოსაგვარებელია შემდეგი საკითხები: ფერმერთა ჩართულობა თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობებში, სპეციალიზაცია, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება და ბიზნეს-კონტაქტების ქსელის განვითარება. ეკონომიის მასშტაბის მისაღწევად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს მათი პროგრამების მინიმალური მოთხოვნების ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდას, რის მაგალითადაც ბატონმა გიორგიმ მოიყვანა მთიანი რეგიონების კოოპერატივებში წევრების მინიმალური რაოდენობის 3-დან 5-მდე, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიებზე 5-დან 11 წევრამდე ზრდა. მან დაამატა, რომ სახელმწიფო განიხილავს კოოპერატივების ბაზრების შექმნის იდეასაც, რათა მოგვარდეს პირველ რიგში პროდუქტის წარმოების და მხოლოდ შემდეგ მისი გასაღების ბაზრის ძებნაზე ზრუნვის პრაქტიკა.

შოთა გონგლაძემ (თიბისი ბანკი) წარმოადგინა მონაცემები იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომლებზე თიბისი ბანკმა გასცა კრედიტი და ხაზი გაუსვა, რომ, სხვა პრობლემებთან ერთად, კოოპერატივებზე სესხის გაცემის პროცესში მთავარ დაბრკოლებებს ფერმერთა შორის უნდობლობა, წევრების მიერ კოოპერატივის წინაშე არაპროპორციული და ზედმეტი ვალდებულებების აღება, კოოპერატივის წევრების ე.წ. „შავ სიაში“ ყოფნა და სტარტაპის ტიპის ბიზნესებთან დაკავშირებული რისკები ქმნის. ბატონმა შოთამ განაცხადა, რომ გირაო ბანკისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს მსესხებლის ფსიქოლოგიურ პასუხისმგებლობას აღებული კრედიტის უკან დასაბრუნებლად. შოთა გონგლაძემ დაამატა, რომ ფერმერების ფინანსური ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნავენ თიბისი ბანკის სოფლის მეურნეობაში გათვითცნობიერებული კრედიტ-ოფიცრები. ბანკის წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ 1000-მდე ფერმერს საქართველოს მასშტაბით და მიაწოდეს მათ ინფორმაცია კრედიტის აღებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. გასულ წლებში აგრარული სექტორის დაკრედიტება უფრო მცირე იყო, მაგრამ დღესდღეობით მდგომარეობა იცვლება, – განაცხადა ბატონმა შოთამ.

თაფლის მწარმოებელ კოოპერატ „ORE ET LABORA-ს“ წარმომადგენელმა, *მამა პეტრემ* აღნიშნა, რომ მისი კოოპერატივისთვის, რომელიც ერთ-ერთი პირველია როგორც მეორე დონის კოოპერატივი საქართველოში, ენპარდი დიდი დახმარება აღმოჩნდა და თქვა, რომ კოოპერატივების უმრავლესობა სახელმწიფოსა და დონორების მხრდიდან პოტენციური გრანტების მისაღებად იქმნება და ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენს ფერმერებისთვის რეალური კოოპერაციისკენ ნაბიჯების გადადგმა. „ჩვენ ვამაყობდით, რომ აგვარჩია ენპარდმა და დავაარსეთ საქართველოში პირველი მეორე დონის

კოოპერატივი, მაგრამ ვაანალიზებდით ჩვენზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასაც. როცა საქმე დამატებითი ფინანსების მოძიებაზე მიდგა, წავაწყდით ისეთ პრობლემას, როგორებიცაა სტარტაპ ბიზნესის სტადია, ხოლო ზოგიერთი წევრის „შავ შიაში“ ყოფნა, გირაოს სამართლიან შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.“

ერეკ ლივნიმ მაღლობა გადაუხადა მამა პეტრეს საინტერესო სიტყვისათვის და აღნიშნა, რომ „ORE ET LABORA“ წარმოადგენს იმედს საქართველოში კოოპერატივების განვითარებისთვის. მან დაამატა, რომ სახელმწიფომ, დონორებმა და კერძო სექტორმა მსგავსი ტიპის კოოპერატივებს მხარი უნდა დაუჭირონ, რადგან ისინი ამას იმსახურებენ კოოპერაციის ნამდვილი გაგების დაცვისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „სარგოს“ წარმომადგენელმა, გიორგი გველესიანმა ისაუბრა შემთხვევაზე, როცა მის კოოპერატივს უარი ეთქვა სესხის სუბსიდირების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ (სუბსიდირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების) პროგრამაში მონაწილეობაზე. აღნიშნული შემთხვევიდან ერთი კვირის შემდეგ, „სარგოს“ იმავე ბანკიდან შესთავაზეს ჩვეულებრივი სესხის ძალიან მაღალ პროცენტად (დაახლოებით 26%) აღება და სანაცვლო გირაოდ მოითხოვეს ქალაქში არსებული ბინა.

მეორეს მხრივ, ეკა იაშვილმა, „იაფი კრედიტის“ მიმღებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „რაჭის ნატურალური პროდუქტების“ წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ გამართული ფინანსური დოკუმენტაცია კრედიტის მისაღებად განაცხადის შეტანისას დიდი დახმარებაა. ამის მიუხედავად, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსური ინსტიტუტების გეოგრაფიის გაფართოება, რეგიონებში სპეციალისტების არსებობა და გირაოს სამართლიანი შეფასება (განსაკუთრებით კი ბიოლოგიური აქტივისა), კოოპერატივებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ქალბატონმა ეკამ მაღლობა გადაუხადა დონორებს გაწეული დახმარებისთვის და ყურადღება გაამახვილა მომავალ წლებში ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მთავარ როლზე კოოპერატივების ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „წუნდას“ წარმომადგენელმა, ლევან ბერიძემ, შეკრებილ საზოგადოებას მოახსენა, რომ მის კოოპერატივსაც უარი ეთქვა შეღავათიანი კრედიტით სარგებლობაზე. სანაცვლოდ, „წუნდას“ წევრმა აილო ჩვეულებრივი კრედიტი (24%-იანი განაკვეთით), მაგრამ ამ პროცესში დაიკარგა მნიშვნელოვანი დრო. ბატონმა ლევანმა დაიჩივლა, რომ სახელმწიფოსა და ბანკებს არ აქვთ უნიფიცირებული მიდგომა კოოპერატივებისთვის კრედიტის მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით და საჭიროა არსებული მდგომარეობის შეცვლა.

იმის შემდეგ, რაც ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ კოოპერატივებისათვის ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებულ პრობლემებში მხოლოდ ბანკების დადანიშნულება არ შეიძლება, ოქსფამის წარმომადგენელმა, ლევან დადიანმა ხაზი გაუსვა კოოპერატივების განვითარების მინიმუმ 10-წლიანი და სულ მცირე 100 მლნ. ლარის ღირებულების გეგმის არსებობის მნიშვნელობას, რომელიც სახელმწიფოს საგრანტო პროგრამებით უნდა მოხდეს. იმის მიუხედავად, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკანონმდებლო ბაზა უკვე

კარგად განსაზღვრული და გამჭვირვალეა, ბატონი ლევანის განცხადებით, მსგავსი გეგმა აუცილებელია მაღალი საკრედიტო რისკის დასაკომპენსირებლად, რომელსაც სტარტაპის ფაზაში მყოფი კოოპერატივები ბანკებისათვის ქმნიან.

ბანკებისა და მისო-ების მხრიდან ძვირადღირებული გირაოს მოთხოვნაზე გამართული დისკუსიის შემდეგ, „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი კომპანია გასცემს დაფინანსებას გირაოს გარეშე (თვით შეძენილი აქტივის გარდა) და მოითხოვს მხოლოდ 20%-იან თანამონაწილეობას. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ისინი აფინანსებენ მხოლოდ კაპიტალურ აქტივებს და არა საოპერაციო კაპიტალს.

სილვია სანხუან მუნოსმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნო კოოპერატივების დაფინანსების ერთ-ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ალტერნატიული ხერხი – *დაბრუნებადი გრანტი*. ამ ხერხის გამოყენება საქართველოში სულ ახლახანს დაიწყო ქვა საერთაშორისომ კავკასიაში, რომელიც აღნიშნული სქემით აფინანსებს დასავლეთ საქართველოში არსებულ კოოპერატივებს. დაბრუნებადი გრანტი გულისხმობს კოოპერატივებზე 0%-იანი სესხის გაცემას, რომელიც უნდა დაბრუნდეს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. ფონდში აკუმულირებული თანხა შეიძლება მართოს საკრედიტო გაერთიანებამ ან მეორე დონის კოოპერატივმა, რომელიც მობილიზებას გაუწევს ფინანსურ რესურსებს და მიაწვდის კოოპერატივებს. აგრეთვე, შესაძლებელია, თანხის მართვა იკისროს ფინანსურმა ინსტიტუტმაც. საკითხი ჯერ კიდევ მსჯელობის საგანს წარმოადგენს და ქვა საერთაშორისო კავკასიაში მუშაობს შესაძლო ალტერნატივებზე. საკუთარი სიტყვის დასასრულს, ხაზი გაუსვა როლს, რომელსაც GFA ითამაშებს აღნიშნულ პროცესებში.

კონსტანტინე ულენტმა (ABCO) განიხილა მისი ორგანიზაციის მიერ *სესხის საგარანტიო სქემის* წარმატებულად განხორციელების მაგალითი. ეს სქემა გამოიყენეს მერსი ქორმა და ABCO-მ 2006-2009 წლებში. 22-ივე შემთხვევიდან, როცა კომიტეტმა დადებითად გადაწყვიტა გირაოს ნაწილზე (ჩვეულებრივ, 20%-30%) გარანტორობის საკითხი, მსესხებლებმა სრულად დაფარეს აღებული კრედიტი, ზოგჯერ წინსწრებითაც კი. მიღებული პროცენტითვე დაიფარა პროექტის განხორციელებაზე გაწეული ხარჯები. ბატონმა კონსტანტინემ დონორებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შესთავაზა მსგავსი ტიპის ფონდის დაარსება, რათა გაუმჯობესდეს კოოპერატივების კრედიტზე ხელმისაწვდომობა.

ვირჯინ დაგომ (AFD) შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, რომ აგრარული სექტორის დაფინანსების მიზნით AFD კომერციულ ბანკებს აწვდის იაფ ფინანსურ რესურსებს და ინაწილებს მათ რისკს. ქალბატონი ვირჯინის განცხადებით, ცოტა ხნის წინ AFD-მ თბილისში გახსნა მუდმივმოქმედი ოფისი და გეგმავს, როგორც ფინანსურ ინსტიტუტებისთვის აგრარულ სექტორში გათვითცნობიერების ამაღლების საქმეში დახმარებას, ასევე მცირე და საშუალო ზომის ფერმების მხარდაჭერას. სააგენტო აწესებს საპროცენტო განაკვეთის ზედა დასაშვებ ზღვარს და ანვითარებს საკრედიტო ბაზრის ორივე, მიწოდებისა და მოთხოვნის მხარეს. ვირჯინ დაგოს აზრით, AFD ქართველ ფერმერებსა და კოოპერატივებს მიაწვდის მინიმუმ 3-წლიან სესხებს ხელმისაწვდომი საპროცენტო განაკვეთებით.

ტაილერ გრინმა (BFC) წარადგინა ღირებულებათა ჯაჭვით დაფინანსების მოდელი თხილის მწარმოებელი კოოპერატივის, „დარჩელის თხილის“ მაგალითზე. მან განიხილა სასაწყობო ვაუჩერის სისტემა, რომელსაც BFC გამოიყენებს კოოპერატივის წევრებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად იმ პერიოდებში, როცა ფერმერებს ესაჭიროებათ საოპერაციო ხარჯების დაფარვა. ბატონი ტაილერის პრეზენტაციაზე კომენტარი გააკეთა ხუან ეჩანოვემ, რომლის აზრითაც თხილი საქართველოსთვის სპეციფიკური პროდუქტია რადგან: (1) თხილი არის მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი და (2) ქვეყანაში ოპერირებს „ფერერო“. ბატონმა ხუანმა დაამატა, რომ ამჟამად ფერმერების მთავარი პრობლემა [კარგი] ბიზნეს-პარტნიორის პოვნაა და აღნიშნულ მოდელს შეუძლია ამ მიმართულებით დახმარების გაწევა.

ელისო ცხადაიამ (RDA) ყურადღება გაამახვილა, რომ [ბანკების მხრიდან] უპირატესობა ენიჭება სესხის პირდაპირ ფარმერზე და არა იმ კოოპერატივზე გაცემას, რომლის წევრსაც აღნიშნული ფერმერი წარმოადგენს. თუ ფერმერი იყენებს კრედიტს კოოპერატივში მისი პაის დასაფინანსებლად, ბანკები, როგორც წესი, ამ ქმედებას საკრედიტო პირობების დარღვევად აღიქვამენ და დამატებით პრობლემებს უქმნიან კოოპერატივებს. შედეგად, ქალბატონი ელისო თვლის, რომ საჭიროა არა მხოლოდ ფერმერების გადამზადება ფინანსებში, არამედ ბანკის თანამშრომლების გადამზადებაც კოოპერატივებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებში.

დავით მამუკელაშვილმა (ACDA) ხაზი გაუსვა ACDA-ს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელობას, დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინირებული საქმიანობის აუცილებლობასა და კოოპერაციისას მასშტაბის ეფექტის გამოყენების უპირატესობებს.

ფორუმის ბოლოს, შოთა გონგლამემ აღნიშნა, რომ ბანკები მოწადინებულნი არიან, ითანამშრომლონ გამართულ აგრო-ბიზნესებთან (კოოპერატივების ჩათვლით), მაგრამ უნდა მოგვარდეს ბანკსა და ფერმერებს შორის არსებული უნდობლობის პრობლემა. ბანკები ქმნიან სპეციალურად ფერმერებისთვის განკუთვნილ საბანკო პროდუქტებს და აღნიშნულ პროცესში ფერმერთა თანამშრომლობა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძალზედ მნიშვნელოვანია. აგრარული სექტორის საკრედიტო პორტფელი წლიდან წლამდე იზრდება და ეს ტენდენცია უნდა შენარჩუნდეს ფერმერებისა და კოოპერატივებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

„უწყებათაშორისი ფორუმი – კოოპერატივების ხელმისაწვდომობა ფინანსებზე“ შეაჯამა ერიკ ლივნიმ, რომელმაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებლები და ფერმერები შეაღარა, შესაბამისად, მთის თავსა და მის ძირში მყოფ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ. ამისთვის ან მთის ძირში მდგომი ადამიანი უნდა აცოცდეს მთის თავზე სუბსიდიებისა და სხვა შეღავათების დახმარებით, ან მთის თავზე და მის ძირში მდგომმა ადამიანებმა უნდა დაიწყონ ერთმანეთისკენ მოძრაობა, რათა ერთმანეთს შეხვდნენ მთის შუაწელში. ბატონი ერიკის განცხადებით, ლიდერობის ისეთი უნარ-ჩვევები, როგორც მამა პეტრეს კოოპერატივშია, წარმოადგენს ქვემოდან-ზემოთ მიმართული მიდგომის კარგ მაგალითს. მეორეს მხრივ, ზემოდან-ქვემოთ მიმართული მიდგომა, ისეთი, როგორცაა

ღირებულებათა ჯაჭვზე დაფუძნებული დაფინანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი იქნება კოოპერატივებისთვის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების საქმეში. რაც შეეხება სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების შეზღუდულობას, საჭიროა, კონცენტრირება შევინარჩუნოთ მდგრად კოოპერატივებზე, რომლებსაც წარმატების უფრო მაღალი შანსები აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერიკ ლივნიმ შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, არ დაევიწყებინათ, რომ კოოპერაცია ეფექტიანია, როცა ფერმერები უმეტესაწილად კოოპერირებენ სერვისის და არა წარმოების მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინება საჭიროა სამომავლო პოლიტიკის შემუშავებისასაც.

გიორგი ლლონტმა მაღლობა მოახსენა აუდიტორიას ფორუმის მსვლელობისას გამართულ დისკუსიაში შეტანილი წვლილისათვის და ხაზი გაუსვა „ერთ ენაზე საუბრისა“ და [საკრედიტო] რისკების დაინტერესებულ მხარეებს შორის პროპორციულად გადანაწილების საჭიროებას.

ფორუმის დასასულს, ყველა მონაწილე შეთანხმდა ამ სადისკუსიო საკითხების შესაბამის აუდიტორიებთან განხილვის გაგრძელებაზე უფრო ვიწრო, ქვე-საკითხებად, რათა ინდივიდუალურად განიხილონ დაფინანსების თითოეულ შესაძლო წყარო, რათა დაეხმარონ კოოპერატივებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საქმეში.

ეს უწყებათაშორისი ფორუმი ორგანიზებული იყო ევროკავშირის ენპარდის პროგრამის დახმარებით. აღნიშნული პროგრამა საქართველოში მოქმედებს 2013 წლიდან და მისი მთავარი მიზანი საქართველოს სოფლებში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერით სიღარიბის შემცირებაა.

